ოქმი:ო31. 3125175001
თარიღი:24/06/2025

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის ოქმი №6

ქ. ლანჩხუთი

17. 06. 2025 წელი

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები გიორგი ჩახვაძე და ვერიკო კვირკველია, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე კარლო კვიტაიშვილი, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ია მოქია, საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა, მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი ვარდენ კვაჭაძე, მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი პაატა ურუშაძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ ბიუროს სხდომის დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ მერიიდან შემოვიდა რამდენიმე საკითხი და მიმართა ბიუროს წევრებს, რომ აღნიშნული საკითხები დამატებოდა დღის წესრიგის პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. ,,საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი შოთა ჩაგუნავა/

2. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პარლამენტის წევრის, გურიის დელეგატის, ვასილ ჩიგოგიძის N26 ბიუროსთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი ვარდენ კვაჭაძე/

3. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი პაატა ურუშაძე/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ”ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

5. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის მაისის თვის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

6. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის იმ დასახლების განსაზღვრის შესახებ, სადაც არ არის ავტოსადგური, საიდანაც ხორციელდება საქალაქთაშორისო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა და სადაც სავალდებულო არ არის ავტოსადგურიდან რეისის გასვლა” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 აპრილის N13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის

საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი შოთა ჩაგუნავა/

7. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საგანგებო მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი შოთა ჩაგუნავა/

8. სხვადასხვა საკითხები.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის დაწყებამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ იმსჯელა საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღის შესახებ.

საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვრა 2025 წლის 25 ივნისი 12:00 საათი.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: ,,საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ.** მან განმარტა, რომ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიულმა დეპარტამენტმა, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2025 წლის 16 აპრილის NGOV 9 25 00009548 წერილის თანახმად, თავისი კომპეტენციის შესაბამისად, უზრუნველყო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებული ნორმატიული აქტის, კერძოდ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განმახორციელებელი M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით, უბილეთო მგზავრობისათვის ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ფორმის, მისი შინაარსის, შედგენის, გამოყენების, შენახვის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 27 მარტის №9 დადგენილების სამართლებრივი ექსპერტიზა და მასთან დაკავშირებით გამოავლინა, მუნიციპალიტეტის მხრიდან გასათვალისწინებელი შენიშვნები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად არის მიჩნეული, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, სასკ-ის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სამართალდარღვევის განმხილველ უფლებამოსილ ორგანოდ განისაზღვროს, შპს „ლანჩხუთის სატრანსპორტო კომპანია“ და აღნიშნული დაზუსტება აისახოს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცემულ შესაბამის სამართლებრივ აქტებში, რომლითაც დარეგულირებულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის წარმოებასთან დაკავშირებული საკითხი. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია

საკრებულომ განიხილოს და მიიღოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების მიერ მომზადებული შესაბამისი ნორმატიული აქტის ცვლილების პროექტი, ვინაიდან ნორმატიული აქტის მისაღებად საკრებულომ უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება, განყოფილების მიერ მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტიც, რომლის მიღება გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას და არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. ,,საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.

2. დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ლანჩხუთი საქართველოსთვის“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.

3. პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 25 ივნისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პარლამენტის წევრის, გურიის დელეგატის, ვასილ ჩიგოგიძის N26 ბიუროსთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა **ვარდენ კვაჭაძემ.** მისი განმარტებით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მიზანშეწონილად მიიჩნევს - დაკმაყოფილდეს პარლამენტის წევრის, ვასილ ჩიგოგიძის 2025 წლის 16 მაისის N 2414/3-52/25 მომართვაში დასმული მოთხოვნა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, (ქ. ლანჩხუთში მერაბ კოსტავას ქუჩა N37- ში მდებარე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობა - ნაგებობების მესამე სართულზე არსებული 2 ოთახი, საერთო ფართით - 33,96 კვ .მ. (ს /კ 27.06.52.114)) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, უზუფრუქტის ფორმით,

(საქართველოს მეთერთმეტე მოწვევის პარლამენტის უფლებამოსილების ვადით), სარგებლობის უფლებით გადაეცეს პარლამენტის წევრის, გურიის დელეგატის, ვასილ ჩიგოგიძის N26 ბიუროს, რომ დაწესებულებამ შეძლოს მისთვის წესდებით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უძრავი ქონების სარგებლობის უფლების გადაცემასთან დაკავშირებით, საჭიროა მუნიციპალიტეტის მერის თანხმობა.

.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პარლამენტის წევრის, გურიის დელეგატის, ვასილ ჩიგოგიძის N26 ბიუროსთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.

2.განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ლანჩხუთი საქართველოსთვის“.

3.პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 25 ივნისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4.მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი ვარდენ კვაჭაძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა **პაატა ურუშაძემ.** მისი განმარტებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური, თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას, ძირითადად ხელმძღვანელობს ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N16 დადგენილებით, რომელიც არეგულირებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან - განათლების, კულტურის და სპორტის სფეროში მოღვაწე წარმატებული ადამიანების დაჯილდოებისა და ინტელექტუალურ-შემეცნებითი, კულტურული და ახალგაზრდული პროექტების დაფინანსების მიზნით, გამოყოფილი თანხის გაცემის წესს.

ზემოაღნიშნული სამსახურის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, მიზანშეწონილად მიჩნეულია წესში საჭირო დაზუსტებების შეტანა, რომლის საფუძველზეც მომზადდა ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" დადგენილების პროექტი, რომლის მიხედვით:

1. დანართის მე-2 მუხლის ,,კ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,კ) ხელოვნების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლობების/ინდივიდუალური შემსრულებლის ხელმძღვანელი პირები- პედაგოგები, კონცერტმაისტერები, რეჟისორები, მუსიკალური ხელმძღვანელები, კომპოზიტორები, ქორეოგრაფები, ლოტბარები, რეგენტები, დირიჟორები და სხვა, ვინც უშუალოდ მოამზადა ან შექმნა ამა თუ იმ შემოქმედებითი წარმომადგენლობისათვის/დასისათვის საკონკურსო ნომერი და უხელმძღვანელა მის ფესტივალ-კონკურსზე წარდგენას;"

2. დანართის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ბ) სკოლის მიერ გამოვლენილი, წლის საუკეთესო მასწავლებლის ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვროს - 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით."

3. დანართის მე-5 მუხლის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 5. ხელოვნების სხვადასხვა დარგის ინდივიდუალური შემსრულებლების, ხელოვნების წარმომადგენლობების ხელმძღვანელი პირების დაჯილდოება"

4. დანართის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,3. ხელოვნების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლობების/ინდივიდუალური შემსრულებლის ხელმძღვანელი პირების ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვროს შემდეგი სახით:"

5. დანართის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,დ) განმცხადებლის/კანონიერი წარმომადგენლის ანგარიშის ნომრის ამონაწერი საბანკო დაწესებულებიდან ან სახელმწიფო ხაზინის ბანკის კოდი."

.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ"ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 25 ივნისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

2.მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი პაატა ურუშაძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი:,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ.** მისი განმარტებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტში უნდა განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები:

საქართველოს მთავრობის 2024 წლის N1955 განკარგულებით, მუნიციპალიტეტს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ჯურუყვეთის ცენტრალური გზისა და ლესის გზის (პროექტის ღირებულება 1973596 ლარი) რეაბილიტაციაზე დამატებით გამოიყო 34595 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან უნდა მიიმართოს 1821 ლარი, სულ 36416 ლარი. ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანხის მიმართვა განხორციელდება არაფინანსური აქტივების კლებიდან (გაყიდვა) მისაღები შემოსავლის გეგმის 1821 ლარის ზრდის ხარჯზე.

საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 13 მაისის N783 განკარგულების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 16 აგვისტოს N1419 განკარგულების დანართით გათვალისწინებულ მუნიციპალიტეტეტებზე გადაცემული თანხების ფარგლებში, დარჩენილი ეკონომია 135161 ლარი მიიმართოს (ორგ.კოდი 010205) სოფელ ორაგვეში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობაზე. პროექტზე ადგილობრივ ბიუჯეტიდან დამატებით უნდა მიიმართოს 155980 ლარი, სულ 291141 ლარი. ადგილობრივი ბიუჯეტიდან ზემოთ აღნიშნულ პროექტზე თანხის მიმართვა განხორციელდეს ქ.ლანჩხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში აგრარული ბაზრის, ავტოსალაროს და ბავშვთა გასართობი სკვერის მოწყობის სამუშაოების 100000 ლარით და მინი სტადიონების მშენებლობის დაფინანსების 55980 ლარით შემცირების ხარჯზე.

მუნიციპალიტეტის მერის, **ალექსანდრე სარიშვილის** თქმით, აქვს გარკვეული წინადადება, რომ აგრარული ბაზრის და ავტოსადგურის მშენებლობის შემდეგ მოხდეს მათი გადაცემა პირობიანი აუქციონით, რასთან დაკავშირებითაც უკვე მსურველიც არის, მაგრამ ამ ეტაპისთვის შესაბამისი უწყება ამ წინადადებას არ თანხმდება.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ **ზაზა წულაძემ** აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ გასულ წელს მან გამოთქვა მოსაზრება, რომ ხომ არ ჯობდა ეს საკითხი აუქციონის ფარგლებში მოგვარებულიყო, თან დროსაც მოიგებდნენ.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების

შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 25 ივნისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
2. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის მაისის თვის შესრულების ანგარიში სხდომას წარუდგინა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის მაისის თვეში შემოსულობები მობილიზებულია 3291242 ლარი, მათ შორის, დამატებითი ღირებულების გადასახადი - 1116436 ლარი. სხვა შემოსავლების სახით მიღებულია 156721 ლარი; სახელმწიფო ბიუჯეტიდან გრანტების სახით მიღებულია 2012097 ლარი; მათ შორის - საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მიღებულია 1537174 ლარი.

საანალიზო თვეში გაწეული იქნა 3684667 ლარის საკასო ხარჯი. მათ შორის, საქონელი და მომსახურების მუხლზე მიმართულია 926870 ლარი. მათ შორის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ღონისძიებებზე - 86849 ლარი; ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდაზე მიმართული იქნა 1708778 ლარი.

ბიუროს წევრების მიერ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის მაისის თვის შესრულების ანგარიშთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

ცნობად იქნას მიღებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის მაისის თვის შესრულების ანგარიში.

დღის წესრიგის მეექვსე საკითხი:,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის იმ დასახლების განსაზღვრის შესახებ, სადაც არ არის ავტოსადგური, საიდანაც ხორციელდება საქალაქთაშორისო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა და სადაც სავალდებულო არ არის ავტოსადგურიდან რეისის გასვლა" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 აპრილის N13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ.** მან განმარტა, რომ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2025 წლის 8 მაისის NGOV 6 25 00011579 წერილის საფუძველზე, მომზადდა ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის იმ დასახლების განსაზღვრის შესახებ, სადაც არ არის ავტოსადგური, საიდანაც ხორციელდება საქალაქთაშორისო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა და სადაც სავალდებულო არ არის ავტოსადგურიდან რეისის გასვლა" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 აპრილის N13 დადგენილების ცვლილების პროექტი.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის, **ალექსანდრე მახათაძის** განცხადებით, სწორედ ამის შესახებ გამოთქვა მოსაზრება გასულ სხდომაზე, რადგან სოფლებიდან ქალაქების- ბათუმის და თბილისის მიმართულებით ხდება რეგულარული სამგზავრო გადაყვანა. აქედან გამომდინარე, კარგი იქნება მათი ჩამონათვალში დამატება, რათა ხელი არ შეეშალოს მოქალაქეების გადაადგილებას.

საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ, **ია მოქიამ** პირველ რიგში მადლობა გადაუხადა ყველა იმ პირს, რომელიც აქტიურად იყო ჩართული ამ საკმაოდ რთულ სამუშაო პროცესში. ამის შემდეგ მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს თხოვნით, რომ კარგი იქნება, თუ საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების გარდა, საკითხის დეტალურად და ამომწურავად განხილვის მიზნით, გაიმართება ცალკე შეხვედრა. საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ ადმინისტრაციულ ერთეულებში სოფლების ჩამონათვაში გამორჩენილია მალთაყვა, რაც ადმინისტრაციული წარმოების პროცეში გასათვალისწინებელია.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის იმ დასახლების განსაზღვრის შესახებ, სადაც არ არის ავტოსადგური, საიდანაც ხორციელდება საქალაქთაშორისო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა და სადაც სავალდებულო არ არის ავტოსადგურიდან რეისის გასვლა” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 აპრილის N13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე”ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 25 ივნისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
2.მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი:,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საგანგებო მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ.** მისი განმარტებით, წინამდებარე საგანგებო მართვის გეგმა არის წინასწარი დაგეგმვის დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს საგანგებო სიტუაციების მართვის ძირითადი ფაზების (საგანგებო სიტუაციის პრევენცია, საგანგებო სიტუაციისთვის მზადყოფნა, საგანგებო სიტუაციაზე რეაგირება და საგანგებო სიტუაციის ზონაში აღდგენითი სამუშაოების ჩატარება) მიხედვით მუნიციპალიტეტის ორგანოს, მისი სამსახურების და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებადი ორგანიზაციების უფლებების განხორციელებისა და მოვალეობების შესრულების უზრუნველყოფას, მატერიალური რესურსებისა და ადამიანური რესურსების განსაზღვრასა და მართვას. შესაბამისად, მასში დეტალურადაა განსაზღვრული სხვადასხვა ორგანოების ინსტიტუციური ვალდებულებები, მათი რესურსები და ყველა ჩართული მხარის ოპერატიული მოქმედებები მოსალოდნელი საგანგებო სიტუაციების დამაზიანებელი ზემოქმედებისაგან მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დაცვის მიზნთ.

გეგმის მიზანია:

- საგანგებო სიტუაციებისაგან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისა და მუნიციპალიტეტის ორგანოს თანამშრომელთა დაცვისა და უსაფთხოების ორგანიზაციული

ღონისძიებების განხორციელება;

- ადგილობრივ დონეზე, საგანგებო სიტუაციების მიტიგაციის, მათზე მზადყოფნის, ხოლო მათი განვითარების შემთხვევაში, რეაგირებისა და აღდგენის ღონისძიებების შემუშავება და ორგანიზება;

- საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის მიზნით, მუნიციპალიტეტის მასშტაბით გასატარებელი ღონისძიებების, მათი მოცულობის, განხორციელების წესისა და შესრულებაზე პასუხისმგებელი ძირითადი და დამხმარე სუბიექტების ძალებისა და საშუალებების განსაზღვრა;

- ეროვნულ დონეზე საგანგებო სიტუაციების მართვის პროცესის ეფექტურად განხორციელების მიზნით, მუნიციპალიტეტის ორგანოს შესაძლებლობისა და ვალდებულების ფარგლებში, სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის საგანგებო დახმარების ფუნქციების მხარდაჭერა;

- ადგილობრივ დონეზე საგანგებო სიტუაციაზე მუნიციპალიტეტის ორგანოს დროული, კოორდინირებული და ეფექტური რეაგირების უზრუნველყოფისათვის შესაბამისი იურიდიული საფუძვლის შექმნა.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საგანგებო მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე”ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 25 ივნისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
2.მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

სხვადასხვა საკითხები:

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, **ზაზა წულაძე** დაინტერესდა, თუ რა მდგომარეობაა რეგიონული განვითარების ფონდიდან განსახორციელებელ პროექტებთან დაკავშირებით, რაზეც მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ ამ ეტაპისთვის დაფინანსება სხვადასხვა მიმართულებით შეჩერებულია. გარდა ამისა, ჰქონდა შეხვედრა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლებთან, სადაც ისაუბრეს არსებულ გამოწვევებზე და მათ ხელმძღვანელთან ჰქონდა რამდენიმე შეკითხვა. მათ შორის, ტაძრებთან და სასაფლაოებთან დაკავშირებით. 2002 წლამდე ეს ქონებები გადაცემულია საპატრიარქოსთვის, ხოლო შემდგომი პერიოდისთვის, მოხდება ეკლესიების მფლობელობაში არსებული ადგილების უფასო იჯარით გადაცემა. რაც შეეხება სასაფლაოებს, საჭირო იქნება ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლების ჩართულობა, რადგან უნდა დადინდეს რეალური საზღვრები სასაფლაოებსა და დანარჩენ ტერიტორიებს შორის. გარდა ამისა, არის

მუნიციპალური ქონებები, რომელსაც ირეგისტრირებს სახელმწიფო. რეესტრის ხელმძღვანელის განცხადებით, მუნიციპალიტეტის მერიამ უნდა მისწეროს ასეთი ქონების ჩამონათვალი თავისი კოდებით, რის შემდეგაც მოხდება საკითხის შესაბამისად მოგვარება. ამასთან, იმ პირებს, რომლებიც 2007 წლის 20 სექტემბრმდე ფლობდა მიწის ნაკვეთებს, უპრობლემოდ დაურეგისტრირდება აღნიშნული ქონება. გარკვეული პრობლემებია, გრიგოლეთთან დაკავშირებით, რადგან მოსახლეობას დარეგისტრირებული აქვს გზები.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარი, **ალექსანდრე მახათაძის** განცხადებით, არ უნდა შეეშალოს დაინტერესებულ პირებს ხელი მიწის დარეგისტრირებაში, რადგან ყველა აღიარებულ მიწაზე, კოდექსით გადასახადია და როცა იკვეთება ქონების ფლობა-სარგებლობა, ეს არის შემოსავლის წყარო, როგორც კერძო მფლობელისთვის, ასევე, სახელმწიფოსთვისაც.

ამით ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი